



ინფორმაცია სტაჟიორთა კონკურსის

შესახებ

საქართველოს მთავარი პროკურატურა აცხადებს კონკურსს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა მისაღებად.

სტაჟიორობის კანდიდატების მიმართ ძირითადი მოთხოვნებია:

- უმაღლესი იურიდიული განათლება;
- არგუმენტაციის უნარი;
- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- მიზანდასახულობა;
- სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- მოტივირებულობა;
- ანალიტიკური აზროვნება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო განაცხადი (აპლიკაცია) უნდა გამოაგზავნონ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით, 2015 წლის 30 ნოემბრიდან 2015 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით.

სტაჟიორობის კანდიდატმა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდის მეშვეობით შესაბამისი საკონკურსო განაცხადის (აპლიკაციის) გამოგზავნისას, განაცხადს (აპლიკაციას) ელექტრონული სახით უნდა დაურთოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების დასკანერებული ასლები:

ა) მოქალაქის პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ასლი;

ბ) დიპლომის ასლი;

გ) სერტიფიკატის ასლი პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების, ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის, ან ადვოკატთა ტესტირების გავლის შესახებ (ასეთი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა: სტაჟიორობის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსს და არ აქვთ ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდა, სტაჟიორად დაინიშნებიან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების, ან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის, ან ადვოკატთა ტესტირების გავლის შემდეგ.

სტაჟიორთა კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად. პირველი ორი ეტაპი ჩატარდება ტესტირების ფორმით, რომელთა წარმატებით გავლის შემთხვევაში კონკურსანტებს ჩაუტარდებათ გასაუბრება.

სტაჟიორთა კონკურსის პირველი ეტაპის პროგრამა და

გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია;
- გ) „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენცია;
- დ) „სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ“ 1959 წლის ევროპული კონვენცია;
- ე) „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენცია (I და II თავები);
- ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I, II და III თავები);
- ზ) „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- თ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- ი) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- კ) „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

კონკურსის პირველი ეტაპი ითვლება წარმატებულად გავლილად, თუ სტაჟიორობის კანდიდატი შეთავაზებული 100 ტესტიდან მოაგროვებს 75 ან მეტ ქულას. კონკურსის შემდგომ ეტაპზე გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი შეიძლება შეიცვალოს სტაჟირების გავლის კომისიის გადაწყვეტილებით.

კონკურსის მეორე ეტაპზე (ტესტირება ზოგად უნარებში) არ დაიშვება სტაჟიორობის კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს კონკურსის (ტესტირების) პირველ ეტაპს.

სტაჟიორთა კონკურსის მეორე ეტაპის პროგრამა და

გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი

წერილობითი კონკურსის (ტესტირების) მეორე ეტაპი - ზოგადი უნარების ტესტირება - შედგება ვერბალური (ლოგიკური, წინადადებების შევსება, ანალოგიები, სიტყვების ტესტი) და მათემატიკური ნაწილისაგან.

კონკურსის მეორე ეტაპი ითვლება წარმატებულად გავლილად, თუ სტაჟიორობის კანდიდატი შეთავაზებული 100 ტესტიდან მოაგროვებს 75 ან მეტ ქულას. კონკურსის შემდგომ ეტაპზე გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი შეიძლება შეიცვალოს სტაჟირების გავლის კომისიის გადაწყვეტილებით.

კონკურსის მესამე ეტაპზე (გასაუბრებაზე) არ დაიშვება სტაჟიორობის კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს კონკურსის (ტესტირების) მეორე ეტაპს.

კონკურსის პირველი ან მეორე ეტაპის (ტესტირებების) შედეგების გაცნობიდან 2 დღის ვადაში სტაჟიორობის კანდიდატებს შეუძლიათ საჩივრით მიმართონ სტაჟირების გავლის კომისიას.

წარმატებული კონკურსანტები გაივლიან გასაუბრებას.

კონკურსის თითოეული ეტაპის ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ სტაჟიორობის კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით. კონკურსის ყოველ ეტაპზე დასაშვებად სტაჟიორობის კანდიდატმა თან უნდა იქონიოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან პასპორტი).

კონკურსში გამარჯვებულები, შესაბამისი მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ, გაივლიან ერთ წლამდე სტაჟირებას პროკურატურის ორგანოებში.

საქართველოს პროკურატურაში სტაჟირება ანაზღაურებადია და ყოველთვიური სარგოს ოდენობა შეადგენს 480 ლარს, სტაჟიორთა ლიმიტი განსაზღვრულია 100 ერთეულით.

სტაჟირების ვადის (ერთი წლის) გასვლის შემდეგ, სტაჟირების გავლის კომისია ახდენს სტაჟიორთა შეფასებას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სტაჟირების გავლის კომისიის თავმჯდომარე მთავარ პროკურორს წარუდგენს იმ პირთა მონაცემებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სტაჟირება. მთავარი პროკურორის მიერ კანდიდატის მოწონების შემთხვევაში, პირი დაინიშნება საქართველოს პროკურატურაში შესაბამის (პროკურორის ან გამომძიებლის) ვაკანტურ თანამდებობაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში სტაჟიორს შეიძლება ვადაზე ადრე (მაგრამ არაუდრეს 6 თვისა) მოეხსნას სტაჟირება და დაინიშნოს შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის კონკურსანტებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნოს ტელეფონის შემდეგ ნომრებზე:

240 52 40

240 52 07

595 07 53 17